სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

22/03/2024

MES 6 24 0000345869

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 88-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2013 წლის 9 სექტემბრის, №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, მე-14 მუხლის, მე-6-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური სერვისების ცენტრის უფროსის, ლევან ფიფიას 2024 წლის 28 თებერვლის MES 5 24 0000235482 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს სტუ-ის სტუდენტთა 88-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 2024 წლის 29 აპრილიდან 18 მაისამდე;
2. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაცია იწარმოებს 29 მარტიდან 20 აპრილამდე, სტუ-ის სტუდენტური სერვისების ცენტრში (მდებარე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77, სტუ-ის ადმინისტრაციული კორპუსი, II სართული, ოთახი №236, ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა 11:00-დან 16:00 საათამდე);
3. ნაშრომების წარდგენა შესაბამის ფაკულტეტზე, სათანადო სექციის ხელმძღვანელ პირთან იწარმოებს 29 მარტიდან 23 აპრილამდე;
4. კონფერეცნიის გახსნის თარიღად განისაზღვროს 24 აპრილი;

5. დაევალოს სექციის ხელმძღვანელს, სექციის მუშაობის ანგარიში (ოქმის და დანართების ფიზიკური და ელექტრონული ვერსია, სექციის მუშაობის აუდიო/ვიდეოტექნიკური ჩანაწერი (CD ან DVD)) წარადგინოს სტუ-ის სტუდენტური სერვისების ცენტრში სექციის მუშაობის დასრულებიდან 5 დღის ვადაში;
6. კონფერენციის დახურვის ღონისძიება გაიმართოს 14 ივნისს;
7. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 88-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის დებულება (დანართი №1);
8. კონფერენციის ორგანიზება დაევალოს სტუ-ის სტუდენტური სერვისების ცენტრს;
9. კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების თეზისების კრებულის გამოცემა, კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებისათვის სერტიფიკატების, ხოლო გამარჯვებული სტუდენტებისათვის დიპლომების დამზადება და გაცემა დაევალოს სტუ-ის სტუდენტური სერვისების ცენტრს;
10. დაევალოთ ფაკულტეტების დეკანებს და აკადემიური დეპარტამენტების უფროსებს კონფერენციის დებულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულება;
11. ბრძანება და მისი დანართი (კონფერენციის დებულება) განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას;
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

რექტორი
გურგენიძე დავით